წესები და პირობები

keepit.ge — მომსახურების წესები და პირობები

ბოლო განახლება: 2026 წლის 17 ნოემბერი

ერთი მხრივ, შპს შემინახე (ს/ნ 405782942) (შემდგომში კომპანია) და მეორე მხრივ ფიზიკური ან იურიდიული პირი (შემდგომში „მომხმარებელი“) რომელიც რეგისტრირებულია კომპანიის ციფრულ პლატფორმაზე keepit.ge ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

მომსახურების პირობები

შპს შემინახე (ს/ნ 405782942) სერვისების წვდომის ან მათი გამოყენებისთვის, თქვენ ჯერ უნდა წაიკითხოთ და დაეთანხმოთ გამოყენების ამ წესებსა და პირობებს.

თქვენ არ შეგიძლიათ გამოიყენოთ არცერთი სერვისი, თუ არ ეთანხმებით მომსახურების პირობებს. თქვენი ჯავშანი ან/და სერვისების გამოყენება ჩაითვლება ამ მომსახურების პირობებზე თანხმობად.

კომპანიას შეუძლია უარი თქვას ან შეწყვიტოს მომსახურება თუ მიიჩნევს, რომ ის გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნას მოცემული პირობების დარღვევით ან რაიმე უკანონო ან არასათანადო მიზნით, ან ნებისმიერი სხვა მიზეზით.

კომპანიამ შესაძლოა პერიოდულად შეცვალოს მომსახურების პირობები. ცვლილების შესახებ ინფორმაცია საიტზე განთავსდება ან მოგეწოდებათ სხვა გონივრული საშუალებებით. მომსახურების პირობებში ნებისმიერი ცვლილება ძალაში შევა შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. თუ თქვენ იყენებთ სერვისებს მომსახურების პირობებში ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, ჩაითვლება, რომ ეთანხმებით ცვლილებებს. თუ არ ეთანხმებით ცვლილებებს, შეგიძლიათ შეწყვიტოთ ეს შეთანხმება.

ამ წესებისა და პირობების შესრულებისას თქვენ აცხადებთ, რომ ხელმოწერის თარიღისთვის ხართ თვრამმეტი წლის.

ამ შეთანხმების გაფორმებით თქვენ აცხადებთ, რომ თქვენ ხართ ერთადერთი მფლობელი/მესაკუთრე იმ ქონებისა, რომელიც შენახული იქნება კომპანიასთან.

თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია

სერვისებით სარგებლობისთვის, თქვენ მოგეთხოვებათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია თქვენს შესახებ (მაგალითად: საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო ინფორმაცია), სერვისების რეგისტრაციის პროცესის ფარგლებში ან სერვისების თქვენი შემდგომი გამოყენების ფარგლებში. თქვენ ეთანხმებით, რომ კომპანიისთვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია იქნება სწორი და განახლდება სერვისის/სერვისების გამოყენების მთელი პერიოდის განმავლობაში.

კომპანია ამუშავებს თქვენს შესახებ ინფორმაციას მისი კონფიდენციალურობისა და ქუქი-ფაილების პოლიტიკის შესაბამისად. ეს განმარტავს, თუ რა პერსონალურ ინფორმაციას

ვაგროვებთ თქვენგან, როგორ და რატომ ვაგროვებთ, ვინახავთ, ვიყენებთ და ვაზიარებთ ასეთ ინფორმაციას, თქვენს უფლებებს თქვენს პერსონალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით და როგორ დაგვიკავშირდეთ, თუ გაქვთ შეკითხვა ან საჩივარი თქვენი პერსონალური ინფორმაციის გამოყენებასთან დაკავშირებით.

პაროლი და უსაფრთხოება

სერვისებით სარგებლობისთვის პირველად დარეგისტრირებისას თქვენ ქმნით ანგარიშს მოქმედი ელექტრონული ფოსტის მისამართითა და პაროლით, ან შედიხართ თქვენი Google-ის ან Apple-ის ანგარიშით. რეგისტრაციის დასასრულებლად სავალდებულოა მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც დასტურდება მასზე SMS-ით გამოგზავნილი კოდით; ელექტრონული ფოსტითა და პაროლით რეგისტრაციისას ელექტრონული ფოსტაც დასტურდება მასზე გამოგზავნილი ბმულით. შეკვეთის გაფორმება შესაძლებელია მხოლოდ ამ დადასტურებების შემდეგ. თქვენ შეგიძლიათ შეხვიდეთ თქვენს ანგარიშში და შეცვალოთ პაროლი ნებისმიერ დროს. თქვენ ხართ პასუხისმგებელი თქვენი პაროლის კონფიდენციალურობის შენარჩუნებაზე და პასუხისმგებელი ხართ თქვენი ანგარიშის მეშვეობით განხორციელებულ ყველა მოქმედებაზე.

ტერმინთან განმარტება

- „ხელშეკრულება“ ნიშნავს თქვენსა და კომპანიას შორის დადებულ შეთანხმებას მომსახურების გაწევის შესახებ;
- „ნივთი“ (ტექსტში შესაძლოა გამოყენებულ იქნას „ქონება“ „საქონელი“ ნიშნავს ნივთებს, რომლის შეფუთვას გადაზიდვას და შენახვას ახორციელებს კომპანია;
- „აკრძალული ნივთი“ ნიშნავს ნებისმიერ ნივთს, რომელიც ჩამოთვლილია დანართში „აკრძალული ნივთების ჩამონათვალი“, ან დროდადრო ჩამოთვლილია საიტზე, როგორც აკრძალული ნივთი;
- „საწყობი“ ნიშნავს კომპანიის მიერ შერჩეულ უძრავ ქონებას, რომელიც ვარგისია საქონლის შენახვისათვის;

„საიტი“/“პლატფორმა“ ნიშნავს კომპანიის ვებსაიტს keepit.ge

ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომპანიის მიერ მომხმარებლისათვის შემდეგი სახის სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა:

ნივთის შეფუთვა, ტრანსპორტირება (მათ შორის დატვირთვა და გადმოტვირთვა), შენახვა.

ანგარიშსწორება

- მომხმარებლის მიერ პლატფორმის მეშვეობით შესაბამისი სერვისებით სარგებლობა შესაძლებელია კომპანიის ვებგვერდზე განთავსებული სერვისების საფასურისა და სხვა დამატებითი ხარჯების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად გადახდის სანაცვლოდ;
- შეკვეთის გაფორმებისას მომხმარებელი პლატფორმაზე მიაბამს საბანკო ბარათს და ირჩევს შენახვის ვადას. ბარათის მიბმა სავალდებულოა, გარდა კომპანიის სახელზე გაფორმებული შეკვეთისა, რომლის საფასურიც ინვოისის საფუძველზე, საბანკო ჩარიცხვით იხდება;

- ბარათით გადახდისას პირველი გადახდა ხორციელდება შეკვეთის გაფორმებისას და შეკვეთა მიღებულად ითვლება მხოლოდ ამ გადახდის შესრულების შემდეგ. თუ პირველი გადახდა ბარათიდან ვერ ჩამოიჭრა, შეკვეთა 15 წუთის განმავლობაში ინახება, რომ მომხმარებელმა ანგარიში შეავსოს და გადახდა ხელახლა სცადოს; თუ ამ ვადაში თავად არ სცადა, 15 წუთის გასვლის შემდეგ ჩამოჭრას ერთხელ კომპანია ცდის. ხელახლა ცდა ერთია: თუ ისიც ვერ შესრულდა, შეკვეთა უქმდება. შენახვის ყოველთვიური საფასური მიბმული ბარათიდან ავტომატურად ჩამოიჭრება, თვეში ერთხელ, ნივთების კომპანიისთვის ჩაბარების დღის შესაბამის რიცხვში, შერჩეული ვადის განმავლობაში. მომხმარებელს შეუძლია მთელი ვადის საფასური წინასწარ, პირველი გადახდით დაფაროს;
- ჩამოჭრის წინა დღეს მომხმარებელს ეგზავნება შეტყობინება ჩამოსაჭრელი თანხისა და დღის შესახებ;
- თუ თანხა ბარათიდან ვერ ჩამოიჭრა, კომპანია ჩამოჭრას ავტომატურად იმეორებს, სანამ თანხა არ ჩამოიჭრება. სანამ ნივთები კომპანიასთანაა, დავალიანება ყოველი ახალი თვის დაწყებისას ამ თვის საფასურით იზრდება, მათ შორის შერჩეული ვადის განმავლობაშიც. დავალიანების სრულად დაფარვამდე შეკვეთა გაყინულია: ნივთები საწყობიდან არ გაიცემა და შეკვეთაზე ვერანაირი ცვლილება (მათ შორის, ნივთების დაბრუნება, ჩანაცვლება, თარიღის შეცვლა) ვერ განხორციელდება; ყოველთვიური საფასურის ჩამოჭრა გაყინულ შეკვეთაზეც გრძელდება. თუ ბანკი მომხმარებლის მოთხოვნით (საჩივრით) ჩამოჭრილ თანხას უკან დააბრუნებს, შეკვეთა მაშინვე იყინება და ნივთები საწყობიდან არ გაიცემა, სანამ საკითხი არ გაირკვევა;
- თუ Keepit-მა კომპანიას ეს შესაძლებლობა დაუშვა, ამ კომპანიის სახელზე გაფორმებულ შეკვეთაზე მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს გადახდა ინვოისის საფუძველზე, საბანკო ჩარიცხვით. ჩარიცხვით გადახდისას მომხმარებელი ვალდებულია, შეკვეთის შესრულებამდე ჩარიცხოს ინვოისის თანხა, ინვოისში მითითებული გადახდის კოდით. ნივთების წამოღების დრო იჯავშნება მხოლოდ თანხის ჩარიცხვის შემდეგ. თუ თანხა 3 სამუშაო დღის განმავლობაში არ ჩაირიცხა, შეკვეთა ავტომატურად უქმდება. ჩარიცხვის დროულობა განისაზღვრება ბანკის მიერ თანხის გატარების თარიღით. სხვა შემთხვევაში გადახდა ბარათით ხდება;
- ინვოისით გაფორმებული შეკვეთის ყოველთვიური საფასურიც ინვოისის საფუძველზე, ჩარიცხვით იხდება, ინვოისში მითითებულ დღემდე. თუ თანხა ამ დღისთვის არ ჩაირიცხა და კომპანიის ბარათი მიბმულია, თანხა ბარათიდან ჩამოიჭრება; ბარათის არარსებობისას მოქმედებს დავალიანების წესი (ნივთები საწყობიდან არ გაიცემა სრულ დაფარვამდე). თუ ჩარიცხვით ინვოისის თანხაზე მეტი გადაიხადა, ზედმეტი თანხა რჩება კრედიტად იმ კომპანიაზე, რომლის სახელზეც შეკვეთაა გაფორმებული, და ავტომატურად აკლდება მის შემდეგ ინვოისს;
- შეკვეთის გაუქმება ნივთების წამოღებამდე: თუ კომპანიის კურიერს მომხმარებლისთვის ჯერ არ დაურეკავს და მისამართზე არ გასულა, გადახდილი თანხა სრულად ბრუნდება; თუ კურიერმა უკვე დარეკა ან მისამართზე გავიდა, ბრუნდება შენახვის საფასური, ხოლო ტრანსპორტირების საფასური არ ბრუნდება. წამოღებამდე შეკვეთიდან ამოღებული ნივთის საფასური სრულად ბრუნდება. ნივთების წამოღების შემდეგ ნივთების (ყუთების) რაოდენობის შემცირება გადახდილ თანხას არ აბრუნებს — შესაბამისად მცირდება მომდევნო თვის საფასური;
- წინასწარ გადახდილი თვეების საფასური უკან არ ბრუნდება: თუ მომხმარებელი ნივთებს ვადაზე ადრე გაიტანს, დარჩენილი თვეების თანხა არ დაუბრუნდება. ეს წესი არ მოქმედებს,

სანამ ნივთები საწყობში არ შესულა: თუ შეკვეთა ამ დრომდე გაუქმდა ან ნივთი ამოაკლდა, თანხა წესების მიხედვით ბრუნდება.

- მომხმარებელს შეუძლია ნივთები ნებისმიერ დროს გაიტანოს. თუ ნივთებს შერჩეულ ვადაზე ადრე გაიტანს და ფაქტობრივად შენახული ვადის ტარიფი შერჩეული ვადის ტარიფზე მაღალია, ერთჯერადად იხდის მათ შორის სხვაობას; ზუსტი თანხა ჩანს გატანის გაფორმებისას, დადასტურებამდე.
- თუ მომხმარებელი ნივთების ნაწილს გაიტანს და დანარჩენის შენახვას აგრძელებს, ყოველთვიური საფასური ითვლება მხოლოდ საწყობში დარჩენილი ნივთებით, შერჩეული ვადის ტარიფით და თითოეული ნივთის იმ ფასით, რომელიც შეკვეთის გაფორმებისას ჰქონდა; ნაწილის გატანის შემდეგ ყოველთვიური საფასური არასდროს იზრდება;
- ფასების შეცვლა უკვე მოქმედ შეკვეთაზე არ ვრცელდება შერჩეული ვადის დასრულებამდე: ამ ვადამდე ძველი ფასით ითვლება ყოველთვიური საფასური, ნივთის დამატება, ნივთების ნაწილის გატანა, ვადაზე ადრე გატანა და საბურავების გაცვლა.

გაფრთხილება: მომხმარებლის ბალანსზე არსებული თანხა უკან არ ბრუნდება, მათ შორის მაშინაც, როცა მომხმარებელი მომსახურებით სარგებლობას წყვეტს: ბალანსის თანხა გამოიყენება მხოლოდ Keepit-ის მომსახურების საფასურის გადასახდელად.

მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. მომხმარებელს უფლება აქვს:

- 4.1.1. მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი სერვისის მიწოდება;
- 4.1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მოითხოვოს კომპანიის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

4.2. მომხმარებელი ვალდებულია:

- 4.2.1. მომხმარებლის მიერ შეფუთვის შემთხვევაში ნივთის სპეციფიკის გათვალისწინებითა და უსაფრთხო მიწოდების მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოს, სათანადოდ შეფუთვა;
- 4.2.2. არ შეინახოს აკრძალული ნივთები;
- 4.2.3. დროულად მიაწოდოს კომპანიას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის/სერვისის მიწოდებისათვის საჭირო სრული და უტყუარი ინფორმაცია/ დოკუმენტაცია,
- 4.2.4. დროულად და სრულად გადაიხადოს მომსახურების საფასური;
- 4.2.5. სრულად აანაზღაუროს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შედეგად კომპანიისათვის მიყენებული ზიანი.

4.3. კომპანიას უფლება აქვს:

- 4.3.1. უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი პროდუქტის/სერვისის მიწოდებაზე, თუ მომხმარებელი არ აკმაყოფილებს ან/და არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
- 4.3.2. გადმოტვირთოს, გაანადგუროს ან გაუვნებელყოს ნივთი, რომლის საფრთხის შემცველობის შესახებ არ იყო სათანადოდ ინფორმირებული. ამასთან, ამ შემთხვევაში კომპანია თავისუფლდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან;

- 4.3.3. მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სერვისის მიწოდებისათვის საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა;
- 4.3.4. თუ მომხმარებელი მომსახურების საფასურს არ იხდის, ნივთები კომპანიას გადაეცემა 3 თვის გადაუხდელობის შემდეგ — პირველი გადაუხდელი თვის გადახდის დღიდან 90-ე დღეს, მას შემდეგ, რაც მომხმარებელს ორჯერ გაეგზავნება წერილობითი გაფრთხილება (30-ე და 60-ე დღეს). ამ ვადის გასვლის შემდეგ ნივთების გადაცემას (მათ შორის, დავალიანების დასაფარად მათ რეალიზაციას) ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კომპანია წყვეტს და ადასტურებს; ეს ავტომატურად არ ხდება;
- 4.3.5. ნივთის რეალიზაციის შემთხვევაში ამონაგები თანხიდან ხარჯები დაიფარება შემდეგი რიგითობით: რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, სხვა ნებისმიერი ხარჯი, მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები.
- 4.3.6 დარჩენილი თანხა მომხმარებელს დაუბრუნდება ჩვენთვის ცნობილ საბანკო რეკვიზიტზე. იმ შემთხვევაში თუ ჩვენთვის ცნობილი საბანკო ანგარიში გაუქმებულია (ან სხვა მიზეზით ვერ ხერხდება მასზე თანხის დაბრუნება, კომპანია თანხას დააბრუნებს მომხმარებლის მიერ მოწოდებულ სხვა ალტერნატიულ ანგარიშზე) იმ შემთხვევაში თუ მომხმარებლის მიერ არ ხდება სხვა ანგარიშის მოწოდება თანხა რჩება კომპანიის საკუთრებაში.

4.4. კომპანია ვალდებულია:

- 4.4.1. მიაწოდოს მომხმარებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, თუ მომხმარებელი აკმაყოფილებს ან/და არ არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
- 4.4.2. აუნაზღაუროს მომხმარებელს მიყენებული ზიანი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ჯამურად 1000 ლარისა ერთ ნივთზე. ეს ანაზღაურება (დაზღვევა) შედის მომსახურების საფასურში და ცალკე არ იყიდება.

ძალაში შესვლასთან დაკავშირებული დებულებები და მისი მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის შეკვეთის დადასტურებისთანავე და მოქმედებს მომხმარებლის მიერ შერჩეული ვადით. ყოველ ვადას აქვს დასასრული: ვადის ბოლოს მომხმარებელი თავად წყვეტს, გააგრძელოს თუ არა შენახვა. ვადის ავტომატური გაგრძელება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელმა ის თავად ჩართო.

თუ ვადა გავიდა და ნივთები ისევ კომპანიასთანაა, ვადის გასვლიდან პირველი 5 დღე შეღავათიანია: თუ მომხმარებელი ამ დღეებში გაიტანს ნივთებს, დამატებით არაფერს იხდის. მე-6 დღიდან, თუ ვადა არ გაგრძელებულა, მომხმარებელი იხდის ერთი თვის სრულ საფასურს (დღეების მიხედვით არ ითვლება). ვადის გასვლის შემდეგ დარიცხული თვეები დავალიანებად გროვდება, ბარათიდან ავტომატურად არ ჩამოიჭრება და იფარება ნივთების გატანისას; მთელი შენახვის დრო ითვლება იმ ვადის ტარიფით, რომელშიც ფაქტობრივად შენახული თვეები ჯდება.

თუ მომხმარებელი ვადას მისი გასვლის შემდეგ აგრძელებს, გაგრძელების საფასური მაშინვე ჩამოიჭრება; თუ ვადის გასვლამდე გააგრძელა, საფასური მიმდინარე ვადის დასრულების დღეს ჩამოიჭრება. ჯერ გამოიყენება ზედმეტად გადახდილი თანხა, ბარათიდან კი მხოლოდ დარჩენილი ნაწილი ჩამოიჭრება.

მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები კომპანია პასუხისმგებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მომხ მარებლისათვის მიყენებული მატერიალური ზიანისათვის წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ამასთან, მატერიალურ ზიანში არ იგულისხმება მომხმარებლისათვის მიყენებული შესაძლო არაპირდაპირი ზიანი, მათ შორის, მიუღებელი შემოსავალი.

წინამდებარე პირობების გათვალისწინებით, კომპანია ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი რომელიც წარმოიშობა მისი ბრალით ნივთის დაკარგვის, მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანების ან განადგურების შედეგად, თუ არ არსებობს კომპანიის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები, კერძოდ, კომპანიის პასუხისმგებლობა გამოირიცხება:

- თუ ნივთი კომპანიას ჩაბარებული არ არის კომპანიის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად;

ზიანი გამოიწვია მომხმარებლისგან მიღებულმა არასწორმა ან/და არასრულმა ინფორმაციამ

- დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში;
- თუ ნივთის დაკარგვა ან დაზიანება გამოწვეულია მომხმარებლის ბრალით (მათ შორის, არასათანადო შეფუთვით), ან შიგთავსის თვისებებით;
- აკრძალულ ნივთებს;
- თუ ნივთი მომხმარებლის მიერ არასათანადოდ არის შეფუთული;
- იმ ნივთების მიმართ, რომელთა შიგთავსი არის მსხვრევადი საგნები (მათ შორის, ჭურჭელი, ჭაღი, ბრა, სუნამო, მინის ნებისმიერი ნაკეთობა და სხვა);
- თუ შეფუთვა გარეგნულად დაზიანებულია, თუმცა ასეთმა დაზიანებამ არ გამოიწვია მისი შიგთავსის დაზიანება;
- თუ შეფუთვა გარეგნულად დაზიანებული არ არის, შიგთავსი კი მთლიანად ან ნაწილობრივ დაზიანებულია;
- მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო ორგანოების მიერ ნივთის დაკავების, განადგურების ან მისი კონფისკაციის შემთხვევაში;
- ნივთის რეალურ ღირებულებაზე მეტ ნაწილში: ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ნივთის რეალური ღირებულება და არაუმეტეს 4.4.2 პუნქტით დადგენილი ზღვრისა (ზიანის ანაზღაურება შედის მომსახურების საფასურში; ცალკე დაზღვევა არ იყიდება);
- თუ ანაზღაურების მიღების მიზნით მომხმარებელი არაკეთილსინდისიერად მოქმედებს;

დავების გადაწყვეტის წესი

- 7.1 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;
- 7.2 შეუთანხმებლობის შემთხვევაში ნებისმიერი დავას განიხილება საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში,

რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

მხარეები თანხმდებიან, რომ დაუძლეველი ძალაში (ფორ-მაჟორში) იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედების დროს მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ, კერძოდ: წყალდიდობა, მიწისძვრა, ეპიდემია/პანდემია, ომი და საომარი მოქმედებები, სამთავრობო ორგანოების მოქმედება, დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღებასა და ცვლილებებთან, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივ სტატუსს და რეჟიმს.

თუ ნებისმიერმა ზემოთნახსენებმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება.

მხარემ, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გაგრძელდა 2 (ორი) თვეზე მეტ ხანს მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი.

ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის გამო მომსახურებით სარგებლობის შეუძლებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში მომსახურების საფასური არ გადაიხდება. საფასურის გადახდა აღდგება მომსახურების (ან მისი ნაწილის) მიმართ მოქმედი ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტის თარიღიდან.

კონფიდენციალურობა

- ხელშეკრულების მხარეები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ ერთმანეთის საქმიან ინტერესებს;
- მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულება მიიჩნევა კონფიდენციალურად და მხარეთა კომერციულ საიდუმლოებად;
- მხარეები ვალდებულნი არიან, „მეორე მხარესთან“ წერილობით შეუთანხმებლად არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია „მეორე მხარის“ შესახებ, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე;

კომპანიის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის მესამე პირებზე გამჟღავნების შემთხვევაში კომპანია ვალდებულია მომხმარებელს აუნაზღაუროს მიყენებული მატერიალური ზიანი.

სხვა პირობები

ხელშეკრულების ყველა დანართი და ცვლილება წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

თუ ხელშეკრულება არ განსაზღვრავს მხარეებს შორის კონკრეტულ შემთხვევაში წარმოშობილ ვალდებულებებსა და უფლებებს, გამოიყენება კანონის ნორმა (ნორმის ანალოგია), რომელიც ყველაზე უფრო მეტად შეესაბამება რეალურად არსებულ ურთიერთობას.

ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება მხარეს მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

ერთ-ერთი მხარის მხრიდან ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

ხელშეკრულების რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მათი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით (მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

ხელშეკრულების მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

დანართი — აკრძალული ნივთების ჩამონათვალი

ნებისმიერი სერვისის გამოყენებისას, საქონელი ან სხვა ნივთები არ უნდა შეიცავდეს და თქვენ არ უნდა შეინახოთ შემდეგი (აკრძალული ნივთები):

- სითხეები, ნახევრად სითხეები, გელები და კრემები.
- მალფუჭებადი საქონელი.
- არამალფუჭებადი საკვები, თუ ის არ არის შეფუთული ისე, რომ დაცული იყოს მავნებლებისგან და არ მიიზიდოს ისინი.
- ანტიკვარიატი (მსხვრევადი და/ან მყიფე).
- ფრინველები, თევზები, ცხოველები ან ნებისმიერი სხვა ცოცხალი ან არაცოცხალი არსება.
- ცეცხლსასროლი იარაღი, ასაფეთქებელი იარაღი, საბრძოლო მასალა, ხმლები ან იგივე ან მსგავსი ნივთების რეპლიკები.
- ბასრი დანები ან სხვა სამზარეულოს ხელსაწყოები, თუ პირი სრულად არ არის დაცული შესაფერისი მასალით, რათა თავიდან იქნას აცილებული დაზიანების რისკი.
- აალებადი ან აალებადი მასალები, სითხეები ან შეკუმშული აირები, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, აეროზოლები, დიზელი, ბენზინი, ნავთობი, გაზი, ხელოვნური სასუქი ან საწმენდი გამხსნელები.
- მედიკამენტები.
- ნარკოტიკული საშუალებები.
- ქიმიკატები, რადიოაქტიური მასალები, ბიოლოგიური აგენტები, მათ შორის საყოფაცხოვრებო საწმენდი საშუალებები.
- ტოქსიკური ნარჩენები, აზბესტი ან სხვა საშიში მასალები.
- ნებისმიერი სხვა ტოქსიკური, აალებადი ან საშიში ნივთიერება ან პრეპარატი, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ასეთი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- ელემენტები.

- თამბაქო.
- ფული, ფასიანი ქაღალდები, მარკები, მონეტები ან ნებისმიერი მსგავსი სახის საქონელი ან კოლექცია.
- ნაღდი ფული, საკრედიტო ან სადებეტო ბარათები.
- ნებისმიერი ნივთი, რომელიც არ ექვემდებარება დაშლას და შეუძლებელია უძრავი ქონებიდან გატანა
- საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რომელიც არ არის გათიშული, გაწმენდილი, გალღობილი (საჭიროების შემთხვევაში)
- ყველაფერი, რასაც კომპანია, თავისი შეხედულებისამებრ, მიუღებლად მიიჩნევს თითოეული შემთხვევისთვის.
- ნივთები რომლებსაც კომპანია საჭიროდ მიიჩნევს საგანგებო სიტუაციაში (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, საშიში ნივთიერებების ან ამოუცნობი ნივთების ეჭვის შემთხვევაში) ან პირების ან ქონების დაზიანების ან დაზიანების თავიდან ასაცილებლად;
- ნივთებმა, რომლებმაც კომპანიის გადაწყვეტილებით შესაძლოა, საქონლის ან სხვა ნივთების შეფუთვას, შენახვას ან შენახვის გაგრძელებას საფრთხე შეუქმნას.

საბუთების და ტექნიკის, მათ შორის ელექტრონული მოწყობილობების, შენახვა დასაშვებია. საბუთი უნდა იყოს მოთავსებული ყუთში ან საქაღალდეში; შენახულ ნივთად ითვლება ეს ყუთი ან საქაღალდე და მასზე ზიანის ანაზღაურება ვრცელდება ისევე, როგორც ნებისმიერ ნივთზე (არაუმეტეს 1000 ლარისა). კომპანია შენახულ ნივთს არ ხსნის და მომხმარებელს უბრუნებს იმავე მდგომარეობაში, რომელშიც ჩაიბარა, 4.4 პუნქტით დადგენილი პასუხისმგებლობის ფარგლებში.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება (14 დღე)

საქართველოს კანონმდებლობისა და ამ პოლიტიკით დადგენილი გამონაკლისების გარდა, მომხმარებელს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე თქვას უარი დისტანციურ ხელშეკრულებაზე ან/და სარეწის გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე 14 კალენდარული დღის განმავლობაში. ეს ვადა აითვლება:

- მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში – ხელშეკრულების დადებიდან;

მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში თანხა ბრუნდება „ანგარიშსწორების“ მუხლით დადგენილი გაუქმების წესით: მომსახურება შეკვეთისთანავე იწყება, ამიტომ თუ კომპანიის კურიერმა მომხმარებელს უკვე დაურეკა ან მისამართზე გავიდა, ტრანსპორტირების საფასური არ ბრუნდება; ნივთების დასაწყობების შემდეგ გადახდილი შენახვის საფასური არ ბრუნდება.

მომხმარებლის მიერ დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმა ავტომატურად იწვევს დაკავშირებული ხელშეკრულებიდან მის გასვლას და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, „ანგარიშსწორების“ მუხლით დადგენილი გაუქმების წესის გათვალისწინებით.

მომხმარებელი ვალდებულია კომპანიას ზემოთ აღნიშნულ ვადაში გაუგზავნოს შევსებული ფორმა ან სხვა ცალსახა მტკიცებულება, რომელიც ასახავს მომხმარებლის გადაწყვეტილებას საქონლის დაბრუნების შესახებ. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების დადგენილ ვადაში განხორციელების მტკიცების ტვირთი მომხმარებელს ეკისრება.

მომხმარებელს უფლება აქვს, ზემოთ გათვალისწინებული ფორმა ელექტრონულად ჩაიბაროს. აღნიშნული ფორმის ჩაბარების შესახებ ინფორმაცია მომხმარებელს მიეწოდება

დაუყოვნებლივ, ხანგამძლე მატარებელზე.

მომხმარებელს შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება განახორციელოს ზემოთ დადგენილ ვადაში, თუ მან ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინება კომპანიას აღნიშნული ვადის ამოწურვამდე გაუგზავნა. იმის მტკიცების ტვირთი, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ამ მუხლის შესაბამისად განხორციელდა, მომხმარებელს ეკისრება.

მომხმარებელს არ აქვს უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ:

- კომპანიამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად გასწია, მან მომსახურების გაწევა მომხმარებლის წინასწარი თანხმობით დაიწყო და მომხმარებელმა იცოდა, რომ მომსახურების სრულად მიღების შემთხვევაში დაკარგავდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას;

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგად ქარწყლდება მხარეების მიერ დისტანციური ხელშეკრულებით ან სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო ის, რაც მხარეებმა მისი შესრულებით მიიღეს, მათ უბრუნდებათ „ანგარიშსწორების“ მუხლით დადგენილი გაუქმების წესის გათვალისწინებით.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში კომპანია ვალდებულია:

- მომხმარებელს ამ მუხლით დასაბრუნებელი თანხა დაუბრუნოს გაჭიანურების გარეშე, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა. კომპანია ვალდებული არ არის, მომხმარებელს დაუბრუნოს იმ დამატებითი ხარჯის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხა, რომელიც დაკავშირებულია მომხმარებლის მიერ არასტანდარტული ან კომპანიის მიერ შეთავაზებული მიწოდების მომსახურებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურების არჩევასთან;

თანხა აანაზღაუროს გადახდის იმავე საშუალებებით, რომლებიც მომხმარებელმა გამოიყენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელი გადახდის სხვა საშუალების გამოყენებაზე თანხმობას განაცხადებს და მას დამატებითი ხარჯი არ წარმოეშობა.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია:

„ანგარიშსწორების“ მუხლით დადგენილი გაუქმების წესის გათვალისწინებით გასწიოს მხოლოდ საქონლის დაბრუნებასთან დაკავშირებული პირდაპირი (უშუალო) ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შპს „შემინახემ“ თავად იკისრა ამ ხარჯის გაწევა ან მომხმარებელს არ მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქონლის დაბრუნების შემთხვევაში ეს ხარჯი წარმოიშობოდა. სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც საქონელი მომხმარებელს სახლში მიეწოდება, შპს „შემინახე“ ვალდებულია საქონელი საკუთარი ხარჯით წაიღოს უკან, თუ, საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, მისი ფოსტით გაგზავნა შეუძლებელია.

კომპანიას შეუძლია უარი თქვას ნებისმიერი ნივთის შეფუთვაზე, შენახვაზე ან ტრანსპორტირებაზე; ან

ნებისმიერ დროს დაგიბრუნოთ ნებისმიერი საქონელი ან სხვა ნივთები, თქვენი ხარჯებით.

კონტაქტი

მომსახურების პირობებთან დაკავშირებული შეკითხვებისთვის დაგვიკავშირდით:

info@keepit.ge · +995 550 008200